N 25 15/01/2018

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ბესიკ,

წარმოგიდგენთ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის **2018** წლის **8** იანვარს **NN2** სხდომის ოქმს, კომისიის დასკვნას, კომისიის წევრების სარეგისტრაციო ფურცელს.

დანართი-15 (თხუთმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ებრალიძე

ნინო ებრალიძე

მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი
საკრებულოს აპარატი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N2

ქ. ლანჩხუთი

08.01.2018 წ

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე.
კომისიის წევრები: ცისანა ურუშაძე, კახა ბოლქვაძე, ოთარ პატიეშვილი, სპარტაკ კვაჭაძე, ზაზა წულაძე, რეზო კვაჭაძე, კახა თედორაძე, იოსებ ჩხაიძე, აკაკი იმნაიშვილი, ელისო ჭიჭინაძე, ბესიკ კუპრაძე.
სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლელა ჩახვაძე, ამირან ქანთარია, ემზარ თევდორაძე.
მოწვეული პირი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი **თამარ ფირცხალაიშვილი.**

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი გვარჯალაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: თამარ ფირცხალაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: თამარ ფირცხალაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებეთა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი:თამარ ფირცხალაიშვილი/

4.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებეთა პროგრამების დამტკიცების შესახებ"ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი:თამარ ფირცხალაიშვილი/

5. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 12; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე:საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი გვარჯალაძემ** კომისიას გააცნო„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა** განმარტა, რომ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებული პირი წერილობით განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დახმარების დანიშვნის ან მიღების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. მერიაში შემოსული ყველა განცხადება თან დართული დოკუმენტაციითურთ შესასწავლად ეგზავნება შესაბამის სამსახურს. მერიის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალური დახმარების მიღების თაობაზე საკითხის განსახილველად მომზადებასა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სხვა პროცედურების განხორციელებას. მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. პროგრამის განხორციელების აუცილებლობას შეისწავლის მერიის შესაბამისი სამსახური და დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს. კონკრეტული სოციალური პროგრამიდან დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია: მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა–განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ცნობა სოციალური სააგენტოდან, რომ არის სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა–განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები, მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი, ერთ-ერთი მშობლის საბანკო ანგარიში და სოციალური სააგენტოდან ქულის ამონაწერი. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა- განცხადება, ცნობა, რომ ბენეფიციარს არ აქვს საცხოვრებელი ფართი, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, განმცხადებლის და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის პირადობის მოწმობის ან პასპორტის

ასლი, განმცხადებლის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ფართის მეპატრონის საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, ბენეფიციარსა და საცხოვრებელი ფართის მეპატრონეს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის ბანკის ანგარიში. ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ცნობა სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ, ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში. მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა-მუნიციპალიტეტის მერსა და ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პროექტორს შორის გაფორმებული შეთანხმების აქტი; პროექტორის მიერ თანხის ყოველთვიური მოთხოვნა. ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა- განცხადება, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიშიდა პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბენეფიციარის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, დევნილის მოწმობის ასლი და საბანკო ანგარიში. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა- ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:განცხადება; სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ-ფაქტურა და კალკულაცია;განმცხადებლის (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი),;ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ(პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150000 სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები);ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100, დედანი) ; ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ;ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე. გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ. მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიურიმოვლენებისშედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამა - განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), სივრცით ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის)შუამდგომლობა; „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტიგო ქულის ამონაწერი;სსიპ„სოციალური მომსახურების სააგენტოს" მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი)ან ცნობა; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში. ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის" სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის-ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ პროგრამებზე გაბარჯული თანხის კალკულაციის წარმოდგენა და საბანკო ანგარიში. ხანდაზმულ (100და მეტი წლის ასაკის)პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბენეფიციარის საბანკო ანგარიში. უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა-განცხადება,მერის

წარმომადგენლის შუამდგომლობა,გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკოანგარიში, ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა-განცხადება,განმცხადებლის (ბენეფიციარის)პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს" მიერ გაცემულიშესაბამისი მიმართვა ან დასკვნა. მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა-განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის)პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა №IV-100/ა); სამედიცინო დაწესებულების/აფთიაქის მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ-ფაქტურა; ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ. შშმ პირის სატაუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა-განმცხადებლის(ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა№ IV-100/ა);

მან ასევე აღნიშნა, რომ მერიაში შემოსულ განცხადებებს კომისიური წესით განიხილავს სამსახური თვეში ერთხელ მაინც ან აუცილებლობის გათვალისწინებით. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, რომელიც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი გვარჯალაძემ** აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტითან დაკავშირებით კომისიის წევრებს შეუძლიათ გამოთქვან და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრება, შენიშვნები და წინადადებები.

საკრებულოს წევრი, **იოსებ ჩხაიძე** დაინტერესდა, თუ რა გადაწყვეტილება იქნა მიღებული ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამასთან დაკავშირებით, რადგან საკრებულოს წევრების მიერ გამოთქმულ იქნა მოსაზრება მუნიციპალიტეტში დიალეზის აპარატის შეძენასთან დაკავშირებით. ამ ნაბიჯის გადაგმით პაციენტებს ადგილზე გაეწევათ შესაბამისი მომსახურება, რაც უდავოდ დიდი შვება და შეღავათი იქნებოდა მათთვის.

კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი გვარჯალაძემ** აღნიშნა, რომ ეს წინადადება გასათვალისწინებელი და მისაღებია, მაგრამ ასევე აუცილებელი იქნება შესაბამისი კადრების გადამზადება. საბოლოოდ კი ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმე გაკეთდება.

საკრებულოს წევრებმა: **კახა ბოლქვაძემ** და **ცისანა ურუშაძემ** აღნიშნეს, რომ ეს მართლაც სასიკეთო ნაბიჯი იქნება მუნიციპალიტეტისთვის. ასევე დაეთანხმნენ იმ მოსაზრებას, რომ ასეთი მომსახურებისთვის საჭიროა შესაბამისი ცოდნის და გამოცდილების მქონე მედ-პერსონალი, რისთვისაც აუცილებელია სპეციალისტების სათანადო დონეზე გადამზადება.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის დამტკიცება ხელს არ შეუშლის იმას, რომ დაიწყოს საკითხთან დაკავშირებით მუშაობა როგორც დიალეზის აპარატის შეძენასთან, ასევე მედ-პერსონალის გადამზადების კუთხით. პარლამენტის წევრი, ლანჩხუთი-ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატი

სნინო წილოსანი ინფორმირებულია ამის შესახებ და მისი მხრიდან არის დაპირება დახმარებასთან დაკავშირებით. ამჟამად მუნიციპალიტეტიდან 21 ადამიანი სარგებლობს ამ პროგრამით. მათი ტრანსპორტირების დაფინანსება სამკურნალო დაწესებულებაში გაგრძელდება მანამ, სანამ ბენეფიციარებს ადგილზე არ ექნებათ აღნიშნული სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა, რის შემდეგაც ამ კუთხით გამოთავისუფლებული თანხა მოხმარდება სხვა სოციალური პროგრამებს.

საკრებულოს წევრმა, **ცისანა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ შემუშავებულია ადრეული განვითარების ქვე პროგრამა, რომლითაც ბავშვებს 0- დან 7 წლამდე უწევთ სარეაბილიტაციო კურსის გავლა და ძირითადად ეხება ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვებს. ეს კურსი თვის განმავლობაში არის 10 დღიანი და მათი გავლა არის უფასო, მაგრამ ბავშვებს ესაჭიროებათ ტრანსპორტირება სხვა ქალაქში, რადგან ადგილზე ასეთი მომსახურების გაწევა არ ხდება. საკრებულოს წევრი დაინტერწესდა, არის თუ არა ასეთი ბავშვების ტრანსპორტირების კუთხით რაიმე სახის დაფინანსება გათვალისწინებული.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** აღნიშნა, რომ არის არასამთავრობო ორგანიზაცია „პროგრესის ვექტორი", რომელიც აერთიანებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. ეს ორგანიზაცია მოიკვლევს ინფორმაციებს ასეთი პიროვნებების შესახებ, მაგრამ ძალიან ხშირად მშობლები მალავენ შვილების მდგომარეობას. აქედან გამომდინარე, არასამთვრობო ორგანიზაცია ცდილობს მშობლებთან ქონდეს ურთიერთობა, რადგან ასეთი ბავშვები არ შეიძლება იყოს ჩაკეტილები. პროგრამის მიხედვით, ერთი ბავშვის სარეაბილიტაციო კურსი ღირს 35 ლარი. მას აუცილებლად უნდა ახლდეს თანმხლები პირი, რომელიც ასევე ფინანსდება 35 ლარით. ეს კურსი არის 10 დღიანი. როცა დაკომპლექტდება მერის წარმომადგენლები, მათ ჩაუტარდებათ ტრენინგები სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით და შესაბამისად მიეწოდებათ სრულყოფილი ინფორმაცია. ასევე იგეგმება ერთობლივი შეხვედრები სოციალურ მუშაკებთან ერთად, რომ მოქალაქეები უფრო მეტად იყვნენ ინფორმირებული იმასთან დაკავშირებით, თუ რა სერვისით უნდა სარგებლობდნენ.

საკრებულოს წევრმა, **ცისანა ურუშაძემ** გამოთქვა მოსაზრება, რომ აუცილებელია დეპუტატებს ქონდეთ კონტაქტი ოჯახის ექიმთან, რადგან ისინი ფლობენ ინფორმაციას ასეთი ბავშვების შესახებ. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მასშტაბით სახეზე იქნება ასეთი პიროვნებების შესახებ სათანადო მასალა. მან ასევე აღნიშნა, რომ ძალიან ხშირად ბავშვები არიან ძალადობის მსხვერპლები, როცა მოძალადეა მშობელი, რომელიც სკოლაში არ უშვებს ბავშვს. სკოლა თავის მხრივ თვალს ხუჭავს ბავშვის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენასთან დაკავშირებით, რადგან მასწავლებელს არ უნდა ვაუჩერის დაკარგვა, რომ უხელფასოდ არ დარჩეს. ამ მხრივ მაკონტროლებელი მექანიზმი არ არსებობს, ამიტომ აუცილებელია მერის წარმომადგენლებს, დეპუტატებს ძალადობასთან დაკავშირებითაც ჩაუტარდეთ ტრენინგები.

საკრებულოს წევრის, **ელისო ჭიჭინაძის** თქმით, საკრებულოს წევრებს გააჩნიათ თუ არა ასეთ ფაქტებთან მიმართებაში რაიმე ბერკეტი და მათ კომპეტენციას ხომ არ ცდება.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** აღნიშნა, რომ ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით ჩაუტარდათ ტრერინგი. არ შეიძლება რომ მხოლოდ ერთ უწყებას დაეკისროს პასუხისმგებლობა, არამედ ვალდებული არიან ერთობლივად ითანამშრომლონ და შეიმუშაონ, თუ როგორ უნდა მოაგვარონ ეს პრობლემა. ასევე, მომავალ წელს იქნება სახელმწიფო ზრუნვის მხრიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერის სოციალური პროგრამა, რადგან ასეთი პირები რჩებიან პროფესიული განათლების მიღმა და მათი დასაქმების ალბათობა ძალიან მცირეა. პროგრამაში ასევე ჩართული იქნება სოციალური აგენტი, რომელსაც გააჩნია ყველანაირი ინფორმაცია ამ პიროვნებების მდგომარეობის შესახებ და მათთან კონსულტაციების საფუძველზე ასეთ ოჯახებზე გაიცემა ერთჯერადი ფულადი დახმარება.

საკრებულოს წევრის, **ცისანა ურუშაძის** თქმით, ერთჯერადი დახმარების წინააღმდეგია, რადგან სახელმწიფო ზრუნვის მხრიდან გასული ახალგაზრდისთვის, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, უნდა მოხდეს შრომითი დასაქმების შეთავაზება, მით უმეტეს რომ პროფესიული განათლების მიღება უფასოა, მაგრამ სამწუხაროდ, არ ხდება მათი ბინით უზრუნველყოფა.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა** აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამოიყოს თანხა, რომელსაც პიროვნება მოიხმარს ბინით უზრუნველყოფისთვის..

დეპუტატმა, **ცისანა ურუშაძემ** ასევე აღნიშნა, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში არ არის პროფესიონალი პედაგოგები, ამ ადამიანებს ესაჭიროება გადამზადება.

საკრებულოს წევრის, **ზესიკ კუპრაძის** თქმით, ნამდვილად ვერ დაეთანხმება კოლეგას, რადგან გარკვეული პერიოდის განმავლობაში ის მუშაობდა ამ სფეროში. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დასაქმებულია პროფესიონალი ადამიანები, რადგნ პედაგოგების შერჩევა ხდებოდა შესაბამისი კვალიფიკაციის და ცოდნის შესაბამისად.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს;**

მომხრე:12 წინააღმდეგი: არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი გვარჯალაძემ**კომისიას

გაცნო„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**.მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

ა) მზრუნველობამოკლებულთაუფასოკვებითუზრუნველყოფისპროგრამა (100000 ლარი).

ბ) მრავალშვილიანიოჯახებისდახმარებისპროგრამა (32400 ლარი).

გ) მძიმესაცხოვრებელპირობებშიმყოფიოჯახებისდროებითითავშესაფრითუზრუნველყოფის პროგრამა (45000 ლარი).

დ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა (51000 ლარი).

ე) მაღალმთიანისოფლებიდანმოსწავლეთატრანსპორტირებისპროგრამა (5500 ლარი).

ვ) ცენტრ„იავნანას"თანადაფინანსებისპროგრამა (10000 ლარი).

ზ)ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაშიტრანსპორტირებისპროგრამა (39800 ლარი).

თ) იძულებითგადაადგილებულპირთადახმარებისპროგრამა (10000 ლარი).

ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებითდახმარების პროგრამა (50000 ლარი).

კ)მძიმესაცხოვრებელპირობებში,უბედურიშემთხვევისადასტიქიურიმოვლენებისშედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადიდახმარების პროგრამა (30000 ლარი).

ლ)ლანჩხუთისრეგიონალურიორგანიზაციის„გამარჯვებულქალთაკლუბის"სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის (30000 ლარი).

მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა (1000 ლარი).

ნ) უპატრონო მიცვალებულთასარიტუალო მომსახურებისპროგრამა (3000 ლარი).

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა (52100 ლარი).

პ) მედიკამენტებისშეძენაზე დახმარების პროგრამა (35000 ლარი).

ჟ) შშმ პირის სატაუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა (4900 ლარი).

დეპუტატი, **ცისანა ურუშაძე** დაინტერესდა, მრავალშვილიანი ოჯახების დხმარების პროგრამის ფარგლებში 4 და მეტ შვილზე დახმარება მიეცემათ თუ არა სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რადგან მათზე გათვალისწინებულია კვების ვაუჩერი.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა** განმარტა, რომ ეს პროგრამა გათვლილია ისეთ ოჯახებზე, რომლებიც არ არიან სოციალური შემწეობის მიმღები.

დეპუტატ, **ელისო ჭიჭინაძის** თქმით, კვების ვაუჩერებთან დაკავშირებით ძალიან ცუდი სიტუაციაა, რადგან განცხადების მიუხედავად, ასეთ ოჯახებს არ მიეწოდებათ ბავშვის საკვები, პასუხისმგებელი კი არავინ არ არის

საკრებულოს წევრმა, **ცისანა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევებში სოციალური სააგენტო აგებს პასუხს, რადგან არის შემსრულებელი. მისი თქმით, მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფას ექვემდებრება სოციალურად დაუცველი ოჯახები. სოფელ გვიმბალაურში არის რამდენიმე უკიდურესად გაჭირვებული რამდენიმე ოჯახი, რომელთაც არ აქვთ არც სოციალური და არც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტატუსი. ოჯახი, სადაც ცხოვრობს ეპილეფსიით დაავადებული ქალბატონი, მეორე ჯგუფის ინვალიდის სტატუსით იღებდა პენსიას 100 ლარის ოდენობით, მაგრამ შემდეგ გადავიდა ასაკობრივ პენსიაზე და იღებს 180 ლარს. ყავს სრულწლოვანი შვილი, რომელსაც აქვს სერიოზული პბობლემები მხედველობასთან დაკავშირებით. ამ ოჯახს სოციალურად დაუცველის სტატუსი ექნებოდა იმ შემთხვევაში, შვილი რომ იყოს არასრულწლოვანი. საკრებულოს წევრის თქმით, ასეთი შემთხვევა მუნიციპალიტეტში თითო-ოროლა იქნება. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა, რომ დეპუტატის ან მერის წარმომადგენლის შუანდგომლობის საფუძველზე ასეთ ოჯახები ჩაერთოს მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამაში.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა** განმარტა, რომ ასეთ გამონაკლის შემთხვევებში დეპუტატების მიერ შემოტანილ უნდა იქნას მომართვა შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად. მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ სოციალურ სააგენტოსთან ერთად მოხდება საკითხის შესწავლა. რის შემდეგაც მუნიციპალიტეტის მერს წარედგინება წინადადებები, რომელიც განიხილავს საკითხს, რადგან საჭიროა შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა. საბოლოოდ კი ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით მოხდება სათანადო გადაწყვეტილების მიღება.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე:11 წინააღმდეგი: არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე:საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი გვარჯალაძემ**კომისიასგააცნო

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებეთა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებეთა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მან აღნიშნა, რომ რომ წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სოციალურ- კულტურული ღონისძიებების კულტურულ, სპორტისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სხვადასხვა პროგრამიდან თანხის გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს ღონისძიებათა დაფინანსების ძირითად მოთხოვნებს. სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა პროგრამის დაფინანსებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნაღდო ანგარიშსწორების გზით ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

დეპუტატმა **ბესიკ კუპრაძემ** გამოთქვა აზრი, რომ სუფსაში გაიხსნა რაგბის სკოლა. ბავშვებს ვარჯიშები უტარდებათ სხვადასხვა სტაიონზე. აქედან გამომდინარე, უნდა გამოინახოს გარკვეული ფინანსები, რათა უზრუნველყოფილი იქნას ბავშვების ტრანსპოტირება.

დეპუტატმა **ზაზა წულაძემ** აღნიშნა,რომ მუნიციპალიტეტს ყავს წარმატებული ბავშვები ძიუდოსა და კარატეში. ამ ბავშვებზე არის თუ არა გათვალისწინებული თუნდაც ფულადი ჯილდო წახალისების სახით..

მერიის სოციალური და ჯანდაცვის უფროსის **თამარ ფირცხალაიშვილის** თქმით მწვრთნელების და სპორტსმენების წახალისების პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ ოლიმპიური სახეობებში ჯილდოს სახით წახალისების გადაცემას..

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებეთა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს;

მომხრე:11 წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი გვარჯალაძემ** ხდომას გააცნო ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებეთა პროგრამების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამებია:

ა) საჩუქრებისა და პრიზების შეძენისპროგრამა;

ბ) ახალგაზრდული პროექტებისთანადაფინანსებისპროგრამა;

გ) სასკოლო სპორტული ოლიმპიადისდა სპორტი ბარიერებისგარეშეჩატარებისპროგრამა;

დ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა;

ე) ახალგაზრდულისპორტული ტურნირების მხარდაჭერის პროგრამა;

ვ) სხვადასხვა ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების ტრანსპორტირების პროგრამა;

ზ) წარმატებულისპოტსმენების და მწვრთნელების წახალისების პროგრამა;

თ) შემოქმედთა წახალისებისპროგრამა;

ი) ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა;

კ) კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;

ლ) სოც-კულტურული ღონისძიებებისორგანიზების პროგრამა;

წარმოდგენილი საკითხის შესახებ ისაუბრა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მან აღნიშნა, რომ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამიდან დაფინანსების მისაღებად დაინტერესებული პირი (კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორი ან სამსახური, ვის მიერაც ხდება სამიზნე ჯგუფის შერჩევა),წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ღონისძიების დაფინანსების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. კონკრეტული ღონისძიების უნდა ახლდეს ჩასატარებელი ღონისძიებების პროგრამა. მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის შუამდგომლობით. შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამებიდან დაფინანსების მთხოვნელთა განცხადებების განხილვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. შემოსულ განცხადებებს განიხილავს და შესაბამის დასკვნას ამზადებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახური.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებეთა პროგრამების დამტკიცების შესახებ"ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე:11 წინააღმდეგი: არცერთი.

სხვადასხვა:

საკრებულოს წევრმა, ბესო კუპრაძემ აღნიშნა, რომ სუფსის თემში საჭიროა ცენტრის მონაკვეთის მოასფალტირება.

საკრებულოს წევრის, ცისანა ურუშაძის თქმით, ითხოვს გვიმბალაურში სკვერის გაკეთებას.

საკრებულოს წევრის, რეზო კვაჭაძის თქმით, შრომისუბანში სასაფლაოსთან აუცილებელია გარე განათების გაკეთება.

საკრებულოს წევრის, კახა თედორაძემ აღნიშნა, რომ სოფელ ღრმაღელეში, ე.წ. ქვიშიანის უბანში, მოსაწესრიგებელია საყანე ფართობში მისასვლელი გზა.

საკრებულოს წევრის, ზაზა წულაძის თქმით, სოფელ ჩოლობარგის სკოლასთან ცუდ მდგომარეობაშია გზა, რომელიც აუცილებელია ასფალტის ან ბეტონის საფარით დაიფაროს. ასევე, ჩილობარგში ჩიჩუების და ფირცხალაიშვილების უბანში აუცილებელია გზის მოხრეშვითი სამუშაოები. ქვიანში, ბერიების უბანში დაახლოებით 200 სიგრძის მონაკვეთზე საჭიროა გზის მოხრეშვა და მოასფალტება.

საკრებულოს წევრმა, აკაკი იმნაიშვილმა აღნიშნა,რომ სოფელ შუხუთში, ორაგველიძების და უგრეხელიძის უბნებში გასაკეთებელია გზები და სანიაღვრე არხები. ასევე, ქვემო და ზემო შუხუთში არის წყლის და გარე განათების პრობლემები.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გიორგი გვარჯალაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N2

ქ.ლანჩხუთი 08.01.2018წ.

2018 წლის 8 იანვარს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: თამარ ფირცხალაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: თამარ ფირცხალაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: თამარ ფირცხალაიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: თამარ ფირცხალაიშვილი/

5.სხვადასხვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე კომისიის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმული სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე

გიორგი გვარჯალაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი.

08.01.2017 წ.

1.	გიორგი გვარჯალაძე	
2.	ცისანა ურუშაძე	
3.	კახა ბოლქვაძე	
4.	ბესიკ კუპრაძე	
5.	ოთარ პატიეშვილი	
6.	სპარტაკ კვაჭაძე	
7.	ლელა ჩახვაძე	
8.	ზაზა წულაძე	
9.	რეზო კვაჭაძე	
10.	კახა თედორაძე	
11.	იოსებ ჩხაიძე	
12.	ემზარ თევდორაძე	
		არ ესწრებოდა

13	ამირან ქანთარია	ახ ესტეფოდ
14	აკაკი იმნაიშვილი	ნ. [illegible]
15	ელისო ჭიჭინაძე	[illegible]